ისტორიის ტესტური დავალებების ნიმუშები მოიცავს იმ საკითხებს, რომლებიც შეესაბამება 2013-2014 წლების სკოლის გამოსაშვები გამოცდების პროგრამას. აღნიშნული პროგრამა ეფუძნება ეროვნულ სასწავლო გეგმას. გამოცდაზე შემოწმდება როგორც ფაქტობრივი ცოდნა, ასევე მოვლენათა დამახასიათებელი ნიშნებისა და მიზეზ-შედეგობრივი კავშირების დადგენის უნარი.

გთავაზობთ დავალებების რამდენიმე ნიმუშს:

1. რომელი კულტურა არსებობდა საქართველოს ტერიტორიაზე ადრე ბრინჯაოს ხანაში?

ა. მტკვარ-არაქსის;

ბ. თრიალეთის;

გ. კოლხური;

დ. ყორღანული.

2. ვის ეკუთვნის ცნობა ქართლის სამეფოს მოსახლეობის სოციალური შემადგენლობის შესახებ?

ა. ჰეროდოტეს;

ბ. პოლიბიოსს;

გ. თუკიდიდეს;

დ. სტრაბონს.

3. რას ისახავდა მიზნად რომის სენატის მიერ აღმოსავლეთში გამოგზავნილი პომპეუსი?

ა. ჩრდილოეთ კავკასიიდან შემოჭრილი მომთაბარეების განდევნას;

ბ. პართიის სამეფოსა და მისი მოკავშირეების განადგურებას;

გ. პონტოს სამეფოსა და მისი მოკავშირეების დამარცხებას;

დ. აჯანყებული ქართლის, ალბანეთისა და სომხეთის დამორჩილებას.

4. რა ეწოდებოდა არაბთა მიერ საქართველოში დანიშნულ მოხელეს?

ა. პიტიახში;

ბ. მარზპანი;

გ. ვალი;

დ. ამირა.

5. რომელი ქართული სამეფო-სამთავროს მმართველი ატარებდა ქორეპისკოპოსის ტიტულს?

ა. აფხაზეთის;

ბ. კახეთის;

გ. ტაო-კლარჯეთის;

დ. ჰერეთის.

6. რომელი ბრძოლის შესახებ გვაწვდის ინფორმაციას მათე ურჰაეცი?

ა. ერწუხის;

ბ. ბასიანის;

გ. შამქორის;

დ. დიდგორის.

7. სხვა მიზეზებთან ერთად, რამ განაპირობა ჯვაროსნული ლაშქრობების დაწყება?

ა. ბიზანტიის იმპერიის განადგურებამ;

ბ. ასწლიანი ომის დამთავრებამ;

გ. დიდმა გეოგრაფიულმა აღმოჩენებმა;

დ. მუსლიმთა მიერ იერუსალიმის დაკავებამ.

8. რას მოითხოვდნენ ყუთლუ-არსლანი და მისი დასელები?

ა. მათთვის საკანონმდებლო უფლების გადაცემას;

ბ. სავაზიროს დაშლას და დარბაზის შექმნას;

გ. „კარავის“ უზენაეს სასამართლო ორგანოდ გამოცხადებას;

დ. სასულიერო პირთათვის დარბაზის წევრობის ჩამორთმევას.

9. რომელ ქვეყანაში შეიქმნა „თავისუფლების დიდი ქარტია“?

ა. საფრანგეთში;

ბ. ინგლისში;

გ. ესპანეთში;

დ. გერმანიაში.

10. რაში მდგომარეობდა გიორგი V-ის მიერ ეგვიპტის სულთანთან გაგზავნილი ელჩობის მიზანი?

ა. ილხანთა სახელმწიფოს წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლის დაწყებაში;

ბ. სინას მთაზე არსებული ქართული მონასტრის აღდგენის ნებართვის მიღებაში;

გ. იერუსალიმის მონასტრის მუსლიმთა მფლობელობისაგან გამოხსნაში;

დ. ევროპელ ჯვაროსნებთან მიმდინარე მოლაპარაკებაში მონაწილეობის მიღებაში.

11. ვის სახელს უკავშირდება XVI საუკუნეში ევროპაში რეფორმაციის დაწყება?

ა. მარტინ ლუთერის;

ბ. იმპერატორ კარლ V-ის;

გ. პაპ ინოკენტი III-ის;

დ. ჰენრი VIII-ის.

12. რა სახელით შევიდა ისტორიაში ჰუგენოტების მასობრივი ხოცვა-ჟლეტა?

ა. ბართლომეს ღამე;

ბ. მწუხარების ღამე;

გ. ვერსალის ღამე;

დ. ვალპურგის ღამე.

13. რომელ სახელმწიფოს ეკუთვნოდნენ ის კოლონიები, რომლებმაც შემდგომში ამერიკის შეერთებული შტატები შექმნეს?

ა. პორტუგალიას;

ბ. ესპანეთს;

გ. საფრანგეთს;

დ. ინგლისს.

14. რა იწვევდა ჩრდილოეთ ამერიკაში მცხოვრები კოლონისტების უკმაყოფილებას?

ა. ინგლისის მიერ განხორციელებული საბაჟო და საგადასახადო პოლიტიკა;

ბ. ინგლისის პარლამენტის არჩევნების დროს განხორციელებული დარღვევები;

გ. ინგლისის მიერ სხვა ქვეყნებისათვის ჩრდილოეთ ამერიკის პორტების დაკეტვა;

დ. ინგლისის მეფის მიერ ინდიელთათვის გარკვეული უფლებების მინიჭება.

15. რუსეთის მეფემ პეტრე I-მა 1700 წელს წამოიწყო შვედეთთან ხანგრძლივი ომი, რომელსაც „ჩრდილოეთის ომი“ ეწოდა. რაში მდგომარეობდა ომის დაწყების მიზანი?

ა .ფინეთის დაკავებასა და იქ სამხედრო საზღვაო ბაზის შექმნაში;

ბ. ბალტიის ზღვაზე გასასვლელის მოპოვებაში;

გ. პოლონეთ-შვედეთის კოალიციის დაშლაში;

დ. ნორვეგიის დაპყრობაში.

16. რომელი ციხე აიღეს აჯანყებულმა პარიზელებმა 1789 წლის 14 ივლისს?

ა. ლა-როშელის;

ბ. იფის;

გ. ორლეანის;

დ. ბასტილიის.

17. რომელმა სახელმწიფომ გამოიყენა პირველად საომარი მოქმედებების დროს მომწამვლელი გაზი?

ა. იტალიამ;

ბ. გერმანიამ;

გ. საფრანგეთმა;

დ. ინგლისმა.

18.

	**რა პერიოდში შეიძლება გადაეღოთ ეს ფოტო?** ა. პირველი მსოფლიო ომის დროს ბ. ცივი ომის დროს გ. მეორე მსოფლიო ომის დროს დ. შვიდდღიანი ომის დროს

19. რა იქცა კომუნისტური და კაპიტალისტური სამყაროს გამყოფ სიმბოლოდ II მსოფლიო ომის შემდეგ?

ა. ბერლინის კედელი;

ბ. ჩინეთის დიდი კედელი;

გ. კრემლის კედელი;

დ. თეთრი სახლის კედელი.

20. სხვა მიზეზებთან ერთად, რამ გამოიწვია „კარიბის კრიზისი“?

ა. აშშ-ს მცდელობამ, თავისი გავლენის ქვეშ მოექცია ლათინური ამერიკის სახელმწიფოები;

ბ. სსრკ-ს სურვილი, ბირთვული რაკეტები განეთავსებინა კუნძულ კუბაზე;

გ. სამხრეთ ამერიკის ქვეყნებში დაწყებულმა დეკოლონიზაციის პროცესმა;

დ. ცენტრალური ამერიკის ქვეყნებში კომუნისტური პარტიების გავლენის ზრდამ.

პასუხები

1. ა
2. დ
3. გ
4. დ
5. ბ
6. დ
7. დ
8. ა
9. ბ
10. გ
11. ა
12. ა
13. დ
14. ა
15. ბ
16. დ
17. ბ
18. გ
19. ა
20. ბ